



საქართველოს სამართლის იურიდიული პირი
კოლეჯი „მოდუსი“



ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 395

რუსთავი

30.12.2019


სსიპ კოლეჯი მოდუსის საგანგებო სიტუაციებში მოქმედების და პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის #70 დადგენილების, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 მარტის #44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს წესდების მე-5 მუხლის „თ“ პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ

1. დამტკიცდეს სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს საგანგებო სიტუაციებში მოქმედების ინსტრუქციები დანართების #1, 2, 3 შესაბამისად;
2. დამტკიცდეს სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია დანართი N4 შესაბამისად;
3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
4. დაევალოს კოლეჯის IT სპეციალისტს დავით მარანელს უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ვებგვერდზე;
5. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს ანა კაპანაძეს დოკუმენტი შესასრულებლად გადაუგზავნოს IT სპეციალისტს;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან 1 თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. #6)

ნინო ქავთარაძე
დირექტორი



ადმინისტრაციის თანამშრომლების და პერსონალის მოქმედების ინსტრუქცია ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში

- ევაკუაციის განხორციელებისას პერსონალი ვალდებულია:
 - შესწავლილი ჰქონდეს და იმოქმედოს არსებული საევაკუაციო გეგმების შესაბამისად.
 - კონკრეტული შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე აუცილებელია განისაზღვროს ყველაზე უსაფრთხო საევაკუაციო გზა და გასასვლელი, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანების სწრაფ ევაკუაციას უსაფრთხო ზონაში.
 - მიზანშეწონილია, ევაკუაციის დროს სიარული კედლის გასწვრივ. საჭიროების შემთხვევაში (ძლიერი დაკვამლიანების დროს) უმჯობესია დახრილ მდგომარეობაში გადაადგილება ან იატაკზე დაწოლა და ხოხვით სვლა.
 - გამოიყენონ სქელი ქსოვილი, უმჯობესია წყლით დასვლებული, პირზე ასაფარებლად.
 - პერსონალმა აუცილებლად უნდა გამორიცხოს პანიკის შემქმნელი პირობები. ამისათვის საჭიროა წყნარი და დამაჯერებელი ტონით საუბარი. ასევე, პერსონალმა არ უნდა დაუშვას სტუდენტებისა და სხვა პირების ქაოტურად გაქცევა. ამისათვის მიზანშეწონილია წყვილ-წყვილად მოძრაობა საევაკუაციო გზებზე.
 - განახორციელონ ადამიანების ევაკუაციის ორგანიზება უსაფრთხო ადგილზე, პირველ რიგში იმ სათავსოდან და მისი მომიჯნავე სათავსოებიდან რომლებშიც არის ხანძრის საშიში ფაქტორების გავრცელება.
- აკრძალულია ლიფტით სარგებლობა ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში.
- მომიჯნავე სათავსოებში ხანძრისა და კვამლის გავრცელების საწინააღმდეგოდ, გამოსვლისას აუცილებლად გამოთეთ შუქი, მჭიდროდ გამოხურეთ ფანჯრები და კარები.
- ობიექტზე არსებულ შენობის გარეთ უსაფრთხო ადგილას, რომელიც აღნიშნულია საევაკუაციო გეგმაზე, აუცილებლად განახორციელეთ შენობიდან ევაკუირებულ პირთა ვინაობისა და რაოდენობის აღრიცხვა.
- იმ შემთხვევაში, თუ სათავსოდან საევაკუაციო კორიდორში გამოსვლა შეუძლებელია ძლიერი დაკვამლიანების გამო, პერსონალი უნდა დარჩეს სათავსოში, სათავსოს კარები უნდა იყოს დახურული, ფანჯრები გაიღოს და ნებისმიერი ხერხით უნდა შეატყობინონ სხვებს მათი ადგილმდებარეობა.

სტუდენტების მოქმედების ინსტრუქცია ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში

- გაეცანით თქვენი კოლეჯის საევაკუაციო გეგმებს, რათა იცოდეთ სად და რამდენი საევაკუაციო გასასვლელით არის მოწყობილი შენობა-ნაგებობა.
- აკრძალულია ლიფტით სარგებლობა ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში.
- მიზანშეწონილია, ევაკუაციის დროს სიარული კედლის გასწვრივ.
- საჭიროების შემთხვევაში (ძლიერი დაკვამლიანების დროს) უმჯობესია დახრილ მდგომარეობაში გადაადგილება ან იატაკზე დაწოლა და ხოხვით სვლა.
- გამოიყენეთ სქელი ქსოვილი, უმჯობესია წყლით დასვლებული, პირზე ასაფარებლად.
- ხანძრის შემთხვევაში დაიცავით სიმშვიდე, რათა ორგანიზებულად განხორციელდეს ევაკუაცია. ამისათვის, დაუჯერეთ თქვენს ლექტორს ან/და დუსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებს და შეძლებისდაგვარად დაეხმარეთ მათ ევაკუაციის განხორციელებაში.
- ხანძრის დროს, არ დაიფანტოთ, დაწყვილდით და სირბილის გარეშე გაემართეთ უახლოესი საევაკუაციო გასასვლელისკენ.
- შენობიდან გარეთ გასვლისას აუცილებელია შეიკრიბოთ ტერიტორიაზე არსებულ უსაფრთხო ადგილზე, იმისათვის რომ მოხდეს ევაკუირებულთა აღრიცხვა.
- იმ შემთხვევაში, თუ სათავსოდან საევაკუაციო კორიდორში გამოსვლა შეუძლებელია ძლიერი დაკვამლიანების გამო, დარჩით სათავსოში.
- სათავსოს კარები უნდა იყოს დახურული, ფანჯრები გაიღოს და ნებისმიერი ხერხით უნდა შეატყობინოთ სხვებს თქვენი ადგილმდებარეობის შესახებ.
- შენობიდან ევაკუაციის შემდეგ უკან შებრუნება ყოველად დაუშვებელია.

უსაფრთხოების სამსახურის მოქმედების ინსტრუქცია ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში

- ხანძრის ნიშნების აღმოჩენის შემთხვევაში (სიგნალიზაციის ამოქმედება, მკვეთრი დამწვრის სუნი ან დაკვამლიანება) დაუყოვნებლივ შეატყობინეთ 112-ს.
- ხანძრის აღმოჩენის ავტომატური სიგნალიზაციის ამოქმედების შემთხვევაში, მართვის პულტზე უნდა ინახოს, რომელი სათავსოდან შემოვიდა სიგნალი და დაუყოვნებლივ შემოწმდეს არის თუ არა ხანძრის ნიშნები.
- იმ შემთხვევაში, თუ ხანძრის აღმოჩენის ავტომატური სიგნალიზაციის ამოქმედებისას არ იქნა აღმოჩენილი ხანძრის ნიშნები, გათიშეთ სიგნალიზაცია.
- შემდგომში ცრუ განგაშის შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინეთ დანადგრის მომსახურე პერსონალს.
- ხანძრის გაჩენის დროს აუცილებლობის შემთხვევაში გათიშეთ ელექტრო ენერგია.
- გათიშეთ შემწოვ-გამწოვი ვენტილაცია შენობაში.
- აუცილებლად გააღეთ ყველა საევაკუაციო გასასვლელი. უნდა გაიღოს შენობიდან გარეთ გამავალი კარების ორივე ფრთა.
- გათიშეთ კარების მაგნიტური საკეტები და ტურნიკეტები.
- აკრძალულია ლიფტით სარგებლობა ხანძრის აღმოჩენის შემთხვევაში.
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვილი არანაკლებ 2 თანამშრომლის (დაცვის სამსახური) მიერ უნდა განხორციელდეს შენობის ყველა სათავსოს შემოწმება განსაკუთრებით იმ სართულზე, სადაც წარმოიშვა ხანძარი, რათა დარწმუნდეთ, რომ შენობაში არავინ დარჩა. წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა განხორციელდეს საფრთხეში მყოფი პირების უსაფრთხო გამოყვანა გარეთ.
- პარარელურად, სახანძრო ქვედანაყოფების მისვლამდე საჭიროა ორგანიზება ხანძრის ქრობის პირველადი საშუალებებით.
- ადმინისტრაციამ ან დაცვის სამსახურის თანამშრომელმა უნდა განახორციელოს სახანძრო ქვედანაყოფების დახვედრა, საჭიროების შემთხვევაში შენობის გეგმის მიწოდება და მათი დაუყოვნებლივ მიყვანა ხანძრის ადგილას.
- ამასთან ერთად, პირველი სახანძრო ქვედანაყოფების მოსვლისთანავე დაუყოვნებლივ მოახსენეთ მის ხელმძღვანელს ყველა საჭირო ინფორმაცია ხანძარზე შექმნილი სიტუაციის შესახებ, კერძოდ: ხალხის არსებობა შენობაში, ხანძრის კერის შესახებ, ცეცხლის გავრცელების გზებისა და იმის შესახებ, თუ რა ზომები იქნა მიღებული სახანძრო-სამაშველო სამსახურის მისვლამდე.
- შენობიდან ევაკუაციის შემდეგ შიგნით შესვლა დაუშვებელია ნებისმიერი მიზეზის გამო, რასაც უნდა აკონტროლებდეს ობიექტის პერსონალი.

პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ინსტრუქცია რა უნდა მოვიმოქმედოთ

თუ ვინმემ მიიღო დაზიანება:

- პირველ რიგში დარწმუნდით თქვენს პირად და დაზარალებულის უსაფრთხოებაში. თუ ხართ საშიშროების ქვეშ, უზრუნველყავით უსაფრთხოება
- ამის შემდეგ, დარეკეთ 112-ზე სასწრაფო დახმარებისგამოსამახებლად (თუ ეს აუცილებელია)
- დაზარალებულს ჩაუტარეთ პირველადი დახმარება.

თუ დაზარალებულს გონება დაკარგული აქვს, მაგრამ სუნთქავს

ამ შემთხვევაში პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. სანამ სასწრაფო დახმარება მოვა, დაზარალებული უნდა მოთავსდეს ე.წ.გამომჯობინების პოზიციაში იყავით მასთან ახლოს და ყურადღებით დააკვირდით, რომ ნორმალურად აგრძელებდეს სუნთქვას და არ დაეხშოთ საჰაერო გზები.

თუ პაციენტი უგონოდ არის და არ სუნთქავს

თუ პაციენტი არ სუნთქავს ნორმალურად, დაურეკეთ სასწრაფო დახმარებას და სანამ მოვა, თუ შეგიძლიათ მაშინვე დაიწყეთ გულ-ფილტვის რეანიმაცია (CPR - გულის არაპირდაპირი მასაჟი/ხელოვნური სუნთქვა). თუ არ გაქვთ ხელოვნური სუნთქვის შესაბამისი ტრენინგი გავლილი და არ ხართ დახელოვნებული ამ მეთოდში, რეანიმაცია გააკეთეთ მხოლოდ ხელებით.

ყველაზე გავრცელებული ინციდენტები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები.

ქვემოთ მოცემულია ყველაზე ხშირი დაზიანებები, რომლის დროსაც გადაუდებელი დახმარებაა საჭირო:

(ანაფილაქსიური შოკი)

ანაფილაქსიური შოკი არის მძიმე ალერგიული რეაქცია, რომელიც შეიძლება განვითარდეს მწერის ნაკბენის ან გარკვეული საკვების მიღების შედეგად. რეაქცია შეიძლება ძალიან სწრაფი იყოს და წუთებში ან წამებში განვითარდეს, ადამიანის იმ საგანთან ან საკვებთან კონტაქტის შემდეგ, რომლის მიმართაც ალერგიულია.

ანაფილაქსიური შოკის დროს პაციენტს უჭირს სუნთქვა. ენა და ყელი შესიებულია, რაც იწვევს საჰაერო გზების გადაკეტვას.

თუ გაქვთ ეჭვი, რომ ვინმეს ანაფილაქსიური შოკი ეწყება, მაშინვე დარეკეთ 112-ზე და გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

შეამოწმეთ, აქვს თუ არა პაციენტს წამალი. ზოგმა პაციენტმა იცის, რომ ალერგიულია და შპრიცით თან დააქვს ადრენალინის საინექციო ხსნარი. თქვენ შეგიძლიათ, დაეხმაროთ პაციენტს წამლის შეყვანაში ან თვითონ შეუყვანოთ. დარწმუნდით, რომ პაციენტი კარგად გრძნობს თავს და სუნთქავს, სანამ სასწრაფო დახმარება მოვა. თუ ადამიანი გონზეა, გამართული ჯდომა მათთვის საუკეთესო პოზიაა. .

დამწვრობა და დამდულვრა

დამწვობისა და დამდულვრის შემთხვევაში:

- რაც შიძლება სწრაფად გააგრძელეთ დამწვრობა ცივი გამავალი წყლით (არა ყინულით) მინიმუმ 10 წუთის განმავლობაში, სანამ ტკივილი არ მორჩება
- დარეკეთ 112-ზე და გამოიძახეთ სამედიცინო დახმარება, თუ ეს აუცილებელია
- დამწვრობის გაგრძელების დროს, ფრთხილად მოაცილეთ დაზიანებულ ადგილს სამკაულები და ტანსაცმელი, თუკი ისინი არ არიან კანზე მიკრული
- შეინარჩუნეთ სითბო საბნით ან ტანსაცმლით (ისე, რომ არ შეეხოთ დაზიანებულ მიდამოს) ჰიპოთერმიის პრევენციისთვის. ჰიპოთერმიის რისკი არსებობს ადამიანებში, რომელთაც ვუგრძელებთ დამწვარ არეებს, განსაკუთრებით ბავშვებსა და მოხუცებში
- თუ ჭრილობა ხელზე ან ფეხზეა, დაიფარეთ ის მთელ სიგრძეზე დასაკრავი საფენებით. თუ მათზე ხელი არ მიგიწვდებათ, ნუ ჩაიცმევთ ბუსუსებიან, არასტერილურ ტანსაცმელს. ნუ შეიხვევთ ჭრილობას, რადგან ეს იწვევს შეუპებასა და მდგომარეობის გაართულებას
- ნუ წაისმევთ კრემებსა და ლოსიონებს დაზიანებულ მიდამოზე.

ქიმიური დაზიანების შემთხვევაში, ატარეთ დამცავი ხელთათმანები, გაიხადეთ ტანსაცმელი, რომელიც დაზიანებულ ადგილს ეხება. მოიშორეთ ქიმიკატი გახეხვით თუკი ის ფხვიერი ნივთიერებაა და გაივლეთ ჭრილობა, ცივი გამავალი წყლით მინიმუმ 20 წუთის განმავლობაში. თუ შესაძლებელია, განსაზღვრეთ, რამ გამოიწვია დაზიანება. ფრთხილად იყავით, არ დაიზიანოთ საკუთარ თავი. დარეკეთ 112-ზე გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისთვის. გაიგეთ მეტი დამწვრობის და დამდულვრის მკურნალობის შესახებ .

სისხლდენა

სისხლდენის დროს მთავარი მიზანია სისხლის კარგვის შეჩერება და შოკის ეფექტების მინიმალიზაცია.

პირველ რიგში, დარეკეთ 112-ზე რაც შეიძლება მალე და გამოიძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება. თუ გაქვთ ხელთათმანები, გამოიყენეთ ისინი ინფექციის რისკის შესამცირებლად. შეამოწმეთ, არაფერი არ იყოს ჩაყოლილი ჭრილობაში. თუკი ჭრილობაში უცხო სხეულია, არ დააჭიროთ მას. დააჭირეთ მის გვერდით რომელიმე

მხარეზე, სანამ ჭრილობას შეიხვევთ, რომ თავიდან აიცილოთ უცხო სხეულზე ზეწოლა.

თუ ჭრილობაში არაფერი არ არის:

- მოახდინეთ და შეინარჩუნეთ ზეწოლა ჭრილობაზე, გამოიყენეთ სუფთა და რბილი საფენი
- გამოიყენეთ სუფთა ტანსაცმელი ჭრილობის მჭიდროდ შესახვევად
- თუკი სისხლდენას ვერ აჩერებენ ტამპონი, დააფიქსირეთ (დააბით) ჭრილობის ადგილზე მეორე ტამპონით. პირველ ტამპონს ნუ მოხსნით.

თუ რომელიმე ორგანო, მაგალითად თითი, სხეულს მოსწყდა, პირდაპირ ნუ ჩადებთ მას ყინულში. გაახვიეთ ის ცელოფნის პარკში, შემდეგ რაიმე რბილ ქსოვილში და გააგრილეთ. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი ყინულში ჩადება. სისხლდენის დროს ყოველთვის მიმართეთ სამედიცინო დახმარებას, თუ ეს სისხლდენა მინიმალური არ არის. თუ ცხვირიდან სისხლდენა 20 წუთის განმავლობაში არ შეჩერდა, მიდით უახლოეს გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პუნქტში.

გაგუდვა

თუ სასუნთქი გზა მხოლოდ ნაწლობრივ დაიბლოკა, ადამიანი ჩვეულებრივ შეძლებს ლაპარაკს, ტირილს, ხველას და სუნთქვას. ამ შემთხვევაში პაციენტს თავისით შეეძლება სასუნთქი გზების გათავისუფლება. ასეთ დროს:

- უთხარით პაციენტს, გააგრძელოს ხველა სასუნთქი გზების გასაწმენდად
- პირველი ორი თითით ფრთილად ამოიღეთ პირიდან ნებისმიერი ნივთი, რომელიც ხელს უშლის სუნთქვას
- ნუ შეუყოფთ თითებს ყელში, რადგან ამან შეიძლება კიდევ უფრო ღრმად გაჭედოს დახშობის გამომწვევი ნივთი ან გამოიწვიოს **ღებინება**.

თუ ობსტრუქცია (დაბლოკვა) მძიმეა და ადამიანს უჭირს სუნთქვა, 5-ჯერ დაარტყით ზურგში, მხრის ძვლებს შორის. ფრთხილად შეამოწმეთ მისი პირი და ამოიღეთ ობსტრუქციის გამომწვევი საგანი, თუ ის იქ არის. თუკი ამით ვერ გაიწმინდა პაციენტის სასუნთქი გზები, მაშინ მოახდინეთ ზეწოლა მის მუცელზე, ქვემოთ მოცემული ნაბიჯების გათვლისწინებით (ეს მეთოდი არ გამოყენება ერთ წლამდე ბავშვებში, ორსულ ქალებსა და ჭარბწონიანებში):

1. დადექით პაციენტის უკან
 2. შემოხვიეთ ხელები წელის გარშემო და გადახარეთ წინ
 3. ერთი მუშტი მათავსეთ მუცელზე, ჭიპსა და მკერდის ძვალს შორის
 4. შედეგ დაიწყეთ ზეწოლები მუცელზე შიგნითკენდა ზედა მიმართულებით
 5. გაიმეორეთ ეს 5ჯერ, სანამ გაჭედული სხეული პირის ღრუში არ ამოვა.
- მთავარი მიზანია ობსტრუქციის გახსნა და არა მაინცდამაინც 5 ზეწოლის გახორციელება. თუ გაჭედული ნივთი არ ამოვა ასეთი ზეწოლის 3 ციკლის შემდეგაც,

დარეკეთ 112 -ზე და გააგრძელეთ დახმარება სანამ სასწრაფო მოვა. პაციენტი, რომელიც იგუდება, აუცილებლად უნდა შემოწმდეს ექიმის მიერ, რადგან შესაძლებელია, ზეწოლის ციკლებმა გამოიწვიოს მუცლის ღრუს დაზიანება, ასევე უცხო სხეულის ნაწილების დარჩენა სასუნთქ გზებში.

დახრჩობა

ნუ შეხვალთ წყალში დასამარებლად, თუ ეს აუცილებელი არ არის. თუ დაზარალებული ხმელეთზეა და არ სუნთქავს, გაათავისუფლეთ მისი სასუნთქი გზები და ჩაატარეთ 5 საწყისი გადასარჩენი ხელოვნური სუნთქვა, სანამ დაიწყებთ ფილტვის რეანიმაციულ მასაჟს (CPR). თუ მარტო ხართ, ჩაატარეთ CPR 1 წუთის განმავლობაში და მხოლოდ ამის შემდეგ დარეკეთ სასწრაფო დახმარებაში. შემდეგ ტაბებში ნახეთ ინფორმაცია, თუ როგორ უნდა გააკეთოთ გადასარჩენი ხელოვნური სუნთქვა და გულ-ფილტვის რეანიმაციული მასაჟი.

თუ ადამიანი უგუნოდ არის მაგრამ სუნთქავს, მოათავსეთ ის “მომჯობინების პოზიციაში”, ოღონდ დახრილად, ისე, რომ თავი სხეულზე დაბლა ჰქონდეს, რაც საშუალებას მისცემს წყლის ორგანიზმიდან გამოდევნას, ამის შემდეგ კი დაუყოვნებლივ დარეკეთ 112-ზე და გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება.

ელექტრული დაზიანება

თუ ვინმეს დენმა დაარტყა, დარეკეთ 112-ზე და გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება. გამორთეთ დენი, რათა პაციენტს არ ჰქონდეს კონტაქტი ელექტროობასთან.

თუ დენის მთავარი წყარო ხელმიუწვდომელია:

- ნუ შეეხებით დაზარალებულს, სანამ დარწმუნდებით, რომ მას თვითონ არ აქვს დენთან შეხება
- დაიცავით თქვენი თავი მაიზოლირებელ საგანზე დგომით (მაგალითად რაიმე სქელი წიგნი, ან ფიცარი)
- რაიმე მშრალი, არამეტალის საგნის გამოყენებით როგორცაა ხის ჯოხი ან ცოცხი, გააცალკევეთ დენის წყარო და ადამიანი ერთმანეთისგან
- ამის შემდეგ, თუ პაციენტი არ სუნთქავს, ჩაატარეთ CPR და გამოუძახეთ სასწრაფო დახმარებას.

ყოველთვის გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება, თუ დაზიანება არ არის ძალიან უმნიშვნელო.

მოტეხილობები

ძნელია მოტეხილობების გარჩევა სახსრებისა და კუნთების დაზიანებისგან. თუკი ეჭვი გაქვთ, მაგრამ ზუსტად ვერ ადგენთ რომელ მათგანთან გაქვთ საქმე, დაზიანებას უნდა ემკურნალოს, როგორც ძვლის მოტეხილობას. თუ ადამიანი უგუნოდ არის და უჭირს

სუნთქვა, პირველ რიგში ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს. თუ დაზარალებული ცნობიერია, მოარიდეთ მას ყოველგვარი შემდგომი ტრავმა და ნუ შეხებით დაზიანებულ მიდამოს საავადმყოფოში მიყვანამდე. შეაფასეთ დაზიანება და გადაწყვიტეთ, როგორ მიიყვანოთ პაციენტი საავადმყოფომდე. თუ მას თითო ან ხელი აქვს მოტეხილი, შეგიძლიათ თქვენითაც წაიყვანოთ საავადმყოფოში დამატებითი ზიანის მიყენების გარეშე.

- ფეხის მოტეხილობის დროს, ნუ გაამოდრავებთ პაციენტს, დატოვებთ ის იმ მდგომარეობაში, რომელშიც იპოვეთ. მოახდინეთ დაზიანებული მიდამოს უძრავად დაფიქსირება, მაგალითად დახვეული პლედით ან ტანსაცმლით. შემდეგ კი დარეკეთ 112-ზე და გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება
- თუ ეჭვი გაქვთ ხერხემლის დაზიანებასა და მოტეხილობაზე, ნუ გაამოდრავებთ პაციენტს სასწრაფოს მოსვლამდე
- შეამოწმეთ შოკის ნიშნები. ფერმკრთალი, ცივი და წებოვანი კანი, სუსტი პულსი და ზედაპირული სუნთქვა შოკის ნიშნებია.

თუ ფიქრობთ რომ ადამიანს აქვს შოკი, დააწვინეთ და შეუხსენით ტანსაცმელი. ნუ ააწვინებთ დაზიანებულ ფეხს. მაგრამ თუკი მდგომარეობა ამის საშუალებას გვაძლევს, შევუდოთ ფეხქვეშ საბანი ან სხვა ნივთი. ნუ აჭმევთ და ნუ დააღვინებთ პაციენტს, რადგან, შესაძლებელია, საავადმყოფოში ზოგადი ანესთეზია დასჭირდეს.

გულის შეტევა

გულის შეტევა სიცოცხლისთვის ერთ-ერთი ყველაზე საშიში მდგომარეობაა. თუ ეჭვი გიჩნდებათ, რომ ვინმეს გულის შეტევა ემართება, დარეკეთ 112-ზე და გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება. **გულის შეტევის სიმპტომებია:**

- ტკივილი გულმკერდის არეში - ტკივილი გულმკერდის ცენტრშია ლოკალიზებული ახასიათებს მოჭერისა და ზეწოლის შეგრძნება
- ტკივილი სხეულის სხვა ნაწილებში - ტკივილი შეიძლება გადაეცეს ხელებში, ყბაში, კისერში, ზურგსა და მუცელში.

ასეთ დროს დასვით პაციენტი. თუ ის გონებაზეა, დაამშვიდეთ და მიეცით 300 მგ ასპირინის ტაბლეტი ნელა დასაღეჭად (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც არ შეიძლება მისთვის ასპირინის მიცემა, მაგალითად თუ პაციენტი ალერგიულია, ან თუ არის 16 წლამდე ასაკის). თუ პაციენტს თან აქვს **სტენოკარდიის** წამლები, აბები ან სპრეები, დაეხმარეთ მათ მიღებაში. დააკვირდით სასიცოცხლო ნიშნებს, როგორიცაა სუნთქვა, სანამ დახმარება მოვა. თუ პაციენტი გონებას დაკარგავს, გაუთავისუფლეთ სასუნთი გზები და თუ საჭირო გახდება, დაიწყეთ გულ-ფილტვის რიანიმაციული მასაჟი.

მოწამვლა

მოწამვლა პოტენციურად სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობაა. მათ უმეტესობას იწვევს ტოქსიური ნივთიერებების გადაყლაპვა, წამლების გადაჭარბებული დეზებით მიღება, ან გარეული ხილისა და სოკოების ჭამა. **ალკოჰოლურ ინტოკსიკაციასაც** იგივე

სიმპტომები აქვს. თუ ვინმე გადაყლაპავს მომწამლავ ნივთიერებას, დარეკეთ 112-ზე სასწრაფო დახმარების გამოსამახებლად. მოწამვლის სიმპტომები დამოკიდებულია გადაყლაპულ ნივთიერებაზე. უმეტესად ახასიათებს გულისრევა, გონების კარგვა, ტკივილი და წვის შეგრძნება. მოწამვლის დროს:

- გაარკვიეთ, რა არის გადაყლაპული და შეატყობინეთ ექიმს
- ნუ მისცემთ პაციენტს სასმელსა და საკვებს ექიმის ნებართვის გარეშე
- არასოდეს შეეცადოთ ღებინების გამოწვევა
- დარჩით დაზარალებულთან, რადგან შესაძლებელია, მისი მდგომარეობა გაუარესდეს და გონება დაკარგოს.

თუ პაციენტმა გონება დაკარგა, სანამ დახმარება მოვა:

- დარწმუნდით, რომ მისი სასუნთქი გზები ღიაა და პაციენტი სუნთქავს. სასუნთქი გზები იხსნება თავის უკან გადაწევით და პირის გაღებით ენის სასიდან მოსაცილებლად
- თუ პაციენტი სუნთქავს, მოათავსეთ მისი თავი სხეულზე დაბლა, რათა ღებინების შეთხვევაში ნაღებინები მასა კვლავ არ გადაყლაპოს ან არ გადასცდეს
- თუ ვერ სუნთქავს, ჩაატარეთ გულ-ფილტვის რიანიმაცია, სანამ სუნთქვა აღდგება ან სამდიცინო დახმარება მოვა
- თუ პირში რაიმე ქიმიკატია, გამოიყენეთ სახის ნიღაბი საკუთარი თავის დასაცავად ხელოვნური სუნთქვის დროს.

ნუ დატოვებთ უყურადღებოდ უგონო ადამიანს, რადგან შესაძლებელია ზურგზე გადმობრუნდეს, აღებინოს და ნაღებინები მასა ფილტვში გადასცდეს.

შოკი

თუ საქმე გვაქვს სერიოზულ დაავადებასთან ან დაზიანებასთან, უნდა დავაკვირდეთ შოკის ნიშნებს. შოკი არის სიცოცხლისთვის საშიში მდგომარეობა, როდესაც სისხლის მიმოქცევის სისტემა იშლება და შედეგად, სასიცოცხლო ორგანოები რჩებიან ჟანგბადის გარეშე. შოკი, უმეტესწილად არის ძლიერი სისლდენის შედეგი, მაგრამ ხანდახან მოსდევს მძიმე დამწვრობას, გულის შეტევას, ღებინებას, ბაქტერიულ ინფექციებსა და ალერგიას (ანაფილაქსია). ამ სტატიაში აღწერილი შოკი არ არის ემოციური რეაქცია ან „თავის შოკირებულად გრძნობა“, რომელიც ასევე ხშირად მოსდევს ინციდენტს.

შოკის ნიშნებია:

- ფერმკრთალი, ცივი, წებოვანი კანი
- ოფლიანობა
- ჩქარი და ზედაპირული სუნთქვა
- სისუსტე და თავბრუსხვევა
- გულისრევა და გულისრევის შეგრძნება
- წყურვილი
- მთქნარება

- ხვნიშა (ხმაურიანი სუნთქვა).

თუ ვინმეს შეამჩნიეთ შოკის ნიშნები:

- მაშინვე დარეკეთ 112-ზე და გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება
- უმკურნალეთ აშკარა, თვალსაჩინო დაზიანებებს
- დააწვინეთ პაციენტი და თუ მისი მდგომარეობა საშუალებას იძლევა, ააწვეინეთ და დაუფიქსირეთ ფეხები აწეულ მდგომარეობაში
- გამოიყენეთ საბანი ან ქურთუკი სითბოს შესანარჩუნებლად
- ნუ მისცემთ საკვებსა და სასმელს
- დაამშვიდეთ და თავი კომფორტულად აგრძნობინეთ
- დააკვირდით პაციენტს. თუ სუნთქვა შეჩერდა, დაიწყეთ გულ-ფილტვის რეანიმაციული მასაჟი.

ინსულტი

FAST-ის პრინციპის ცოდნა მნიშვნელოვანია, თუ ურთიერთობა გვაქვს ინსულტ-გადატანილ ადამიანებთან. რაც უფრო მალე აღმოუჩნდებათ პაციენტებს დახმარება, მით უკეთესია მათთვის. რაც შეიძლება სწრაფად გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება. თუ გაქვთ ეჭვი, რომ პაციენტს აქვს ინსულტი, გამოიყენეთ **FAST**-ის კრიტერიუმები:

- **Facial weakness**- სახის სისუსტე: ადამიანს არ შეუძლია ნორმალურად გაღიმება და თვალები და პირი ჩამოვარდნილია
- **Arm weakness** - სისუსტე ხელში: პაციენტს შეუძლია მხოლოდ ცალი ხელის აწევა
- **Speech problems** - საუბრის პრობლემები: პაციენტს არ შეუძლია გამართულად საუბარი
- **Time to call** - დროა დავრეკოთ 112-ზე და გამოვიძახოთ სასწრაფო დახმარება.